№ 76
სამშაბათი, 9 აპრილი 1896

1877—1896

ივერია

№ 76
სამშაბათი 9 აპრილი 1896

რედაქტორ-გამომცემელი:
ნიკოლოზის ქუჩა, № 11.
ტფილისში.
გაზეთის დასაბარებელად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვა გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ. მეორეზედ—8 კაპ.

ბაზეთის ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

„ივერიის“ ტელეფონი №2 27

თავადი რაშაილ დავითის ძე ერისთავი და მანანა ზაქარიას ასული ბეხტამანისა სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ მობრძანდნენ წლის წირვასა და პანაშვიდზე, ცხრას ამა აპრილს, სამშაბათს, 12 საათზე ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკკლესიაში, **ანდონა ბარბარე დავითის ასულის ჯოჯუაძის** სულის მოსახსენებლად.

ტფილისი, 9 აპრილი.

—

გერმანიის იმპერატორის მოგზაურობას მოკავშირე მეფეების სანახავად, დიდს მნიშვნელობას აძლევენ გაზეთები. „სამთა კავშირის“ მეფეების სჯა-ბაასის საგნად უთუოდ დღევანდელი პოლიტიკური საქმეები იქმნებოდენ, მაგრამ ეს არ იციან რა აზრი გამოითქვა ამა თუ იმ მეფისაგან, ან რა რჩევა მისცეს ერთმანეთს. რუსეთის გაზეთებს რომ დავუჯეროთ, ვილჰელმმა ურჩია ჰუმბერტოს ინგლისს თავი დავანებოთ, ის თავის სასარგებლოდ სცდილობს მარტო, სხვისი ჯავრი არა აქვსო. ამასვე ეტყვის, რასაკვირველია, ფრანციოსებსაც და „სამთა კავშირი“ რაკი დაინახავს, რომ ინგლისთან საქმის დაჭერა არაფერი სასარგებლოა, თავს დაანებებს მის მომხრეობასაო. ამგვარად ინგლისი ისევ ისე გარიყული დარჩებაო. მაგრამ ეს შეცდომაა. ამ შეცდომას საფუძვლად უდევს სურვილი, რომ ასე იყოს, მაგრამ ფაქტები-კი ამის წინააღმდეგია. „არა მგონი, რომ ვილჰელმს რჩევა მიეცეს იტალიის მთავრობისათვის ინგლისს ნუ მიეხმრობი ეგვიპტის საქმეშიო და ან ფრანც იოსებს უთხრას ამგვარი რამე. ასე რომ იყოს, მაშინ

ფელეტონი

საბიბლიოგრაფიო შენიშვნები.

„შოთა რუსთაველი“ მ. გ. ჯანაშვილისა, 1896.

„შოთა რუსთაველის“ ავტორი ბ-ნი მ. ჯანაშვილი კარგად ცნობილია ქართულ ლიტერატურაში და ჩვენი პირადი აზრი იმის მოღვაწეობაზედ მეტი უნდა იყვეს. უეჭველადაც იცნობენ ამ პატიოსანსა და დიდად მშრომელს, შეგნებულსა და მცოდნე მუშაკს. მოგეხსენებათ, რომ ავტორი უფრო ისტორიისა და ფილოლოგიის შესწავლას მისდევს, მაგრამ არც ძველ ლიტერატურას ივიწყებს ხოლმე. მისი „შოთა რუსთაველი“ სწორედ ძველის, ეგრეედ წოდებულ კლასსიკურის ლიტერატურის შესწავლის ნიმუშია. თვით ავტორი თავისს ნაწარმოებს „სახელმძღვანელოსებურ წიგნად“ ჰხადის და, მართლაც, წიგნი სახელმძღვანელოს გეგმაზედ არის შედგენილი. რამოდენადაც ჩვენ ვიცით, ეს ამბავი, თუ პირველი არა, ახალი მაინც დიდებულისა და სახელოვანის პოეტისტრიის ოფიციოზური გაზეთები ისეთის სიცხარით არ მეკიდებოდენ რუსეთისა და საფრანგეთის მოქმედებას ამ საქმეში და არ გამოიჩენდნენ ისეთს აზკარა მომხრეობას ინგლისისას. რომ ინგლისი ამ მხრით რაიმე საშიშარ მდგომარეობაში იყოს, მაშინ არც საფრანგეთის ოფიციოზური გაზეთები დაიწყებდნენ სხვა კილოთი ლაპარაკს. საფრანგეთის სამინისტრო ორგანი, გარდაწყვეტილი ამბობს, ის გვიჩვენია ინგლისს მოურიგდეთ ეგვიპტის საქმეში და ნუ გავამწვავებთ ამ საქმესაო.

გერმანიის იმპერატორის მოგზაურობას უფრო სხვა აზრი უნდა ჰქონდეს. უთუოდ უნდოდა ქვეყნისათვის ეჩვენებია, რომ იტალიის დამარცხებას „სამთა კავშირი“ სრულიადაც არ შეუსუსტებია, უნდოდა ამ მოგზაურობით კიდევაც უფროც გაენმტკიცებინა იგი კავშირი. შეიძლება ახალი კავშირის (ინგლისთან) და მისი პირობების შესახებაც ჰქონდათ მოლაპარაკება. ეს უფრო ნამდვილი უნდა იყოს, რადგან ამაზედ მითქმა-მოთქმა დიდი ხანია არის და მაშინ-კი „ნოვ. ვრემ.“ და „მოსკ. ვედ.“-ს ოცნებები სრულიად წინააღმდეგი იქმნებიან სინამდვილისა.

კ. აბაშიძე.

შემოწირულება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ 21 აპრილისათვის დანიშნულ ლატარია-ალეგრისათვის შემოსწირეს:

1) კნეინა ნატალია ვახტანგის ასულმა ამირაჯიბისამ ერთი ფუვილი ფირუზის შუბლის ქინძისთავი, ხუთი ოქროს ღილი, შირმაის პორტმანე და ერთი ბროშა;

2) კნეინა სალომე ამირაჯიბისამ—ვერცხლის ბრასლეტი და ორი ბროშა.

3) ელისაბედ მხეიძისამ—საათი და ყელსახვევი.

4) სოფიო გიორგობიანისამ—სამი ნაჭერი საპონი, დუხები და სათამბაქო.

5) ბარბარე ცაგარლისამ ყვავილების ვაზა;

6) ვაჭარმა სამოედოვმა: საწერელი, ყულაბი, ტერმომეტრი, უბის წიგნი და იაპონური სათამაშო.

ახალი ამბავი

—

*** 6 აპრილს, მიხეილის ხიდთან მტკვრის პატარა ტოტში თავადის გიორგი ორბელიანის სახლებიდამ გადავარდა ოსმალეთის ქვეშევრდომი სომეხი, რომელიც დიდხუთშაბათს აქეთია გგიეიდა თურმე, მაგრამ რაკი იგი ზემოხსენებულ სახლების პატრონთან იყო მსახურად, ამიტომ სამადლოდ ადგილობრივვე ინახავდნენ. 6 აპრილს გაექანა წყლისაკენ და უეცრად გადაეშვა წყალში. მზარეულმა ხელი სტაცა, მაგრამ ვერ დაიჭირა. წყალმა იგი ყასუმოვის კუნძულთან დასვირა, მანამდე-კი იგი ებრძოდა ადიდებულ მტკვრის ზვირთებს დავის დასახწევად. მტკვრის მარცხენა ნაპირიდგან ნავითაც გამოეკიდნენ, მაგრამ ვერა უშველეს რა, რადგანაც წყალში დაძირული ალარ გამოჩენილა.

*** გუშინ, 8 აპრილს, რუსეთის ფოსტა არ მიგვიღია.

*** მდინარე მტკვრამა კვლავ ორ არშინამდე მოიმატა. ამ უკანასკნელ დღეებში თითქმის ყოველ დღე წვიმს, ხან ღილით, ხან საღამოთი. ცივი ქარი უბერავს.

*** როგორც გაზ. „კავკაზი“ სწერს, წარსულს 1895 წ. ტფილისში ყოფილან მწვალებელნი სულ 1,235 კაცი და 980 ქალი; ამათში ისეთები, რომელთაც მეოდღლები არა ჰყავთ, ყოფილა 657 კაცი და 405 ქალი, მოლოკნები, სულის წმიდის უარის მყოფელნი და სხვ.—1,134 კაცი და 892 ქალი და იუდეველთა სარწმუნოებისა 100 კაცი და 87 ქალი. ამათგან მხოლოდ სამს მიუღია მართლ-მადიდებლობა.

*** ფინანსთა მინისტრი სამიწადმოქმედო მინისტრის აზრს დაეთანხმა და 20,000 მანეთი კიდევ გადასდგა ფილოქსერასთან საბრძოლველად. ეხლა უკვე შედგენილია პროექტი, თუ როგორ უნდა განაწილდეს ეს ფული საფილოქსერო დაწესებულებათა შორის. გარდაწყვეტილია, ამ წლიდამ შემოიღონ ჩვენში და ბესსარაბიაში ამერიკის ვაზების მოშენება.

*** სოფ. საჯავახო, (ოზურგეთის მაზრა): მარტის პირველ რიცხვებში მშვენიერი დარები იდგა, გვეგონა, თვე ასე დაილეოდა და გვიხაროდა. მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ, ახლა ისტყდა ქარიშხალი, თოვლი და შეუწყვეტელი წვიმები. ისეთი სიცივები დაიწყო, რომ ახალ გამოღებული ვაზისა და სხვა ხეხილის კვირტები და ყვავილი სულ ერთიანად მოსწვა ყინვამ და გაგვიფუჭა, საქონელიც გარეედ ვერ გამოგვიშვია. რაც ჩალა გვქონდა ამ უშველებელს თოვლში დავხარჯეთ, ახლა-კი შიმშილით გვეხოცება საქონელი. ჩვენში ახლა ყვავილი და ინფლუენციაა გავრცელებული და მომშველეე-კი არავინა სჩანს.

როგორც იყო დიდი ხნის შემდეგ ჩვენც გვეღირსა სასწავლებელის აშენება, მაგრამ თოვლმა ისიც დაგვიმტვრია. ჩვენში გზები სულ გაფუჭებულია; უფრო იმ ალაგას, საცა სურების გზა გამოდის შოსეზე, დღე არ გავა, რომ ერთი ან ორი ცხენი არ იყოს ჩაფლული უშველებელ ლაფში.

კარგი იქმნებოდა ყურადღებას მიაქცევდნენ, ვისაც ჯერ არს.

*** ს. ენოდელ. 20 მარტს მოვიდა დიდი წვიმა და მოიმატა აქაურმა მდინარე ფრონემ აქაურის ვენახების და სახნავი მიწების პირათ. რაც ზარშან დაკლო ამ მდინარემ ახლა შეუსრულა. ვისაც ვენახები და მიწები წყლის პირას ჰქონდათ სულ წალეკა, 28 მარტს თოვლი მოვიდა, ორი გოჯი დასდო, მართალია მალე დადნა, მაგრამ დიდი ტალახების გამო საბრალო მუშა ხალხი გულხელ დაკრეფილი შესცქერის გამოდარებას.

*** ს. ბალთა. აქ 29 მარტს საშინელი უბედურება მოხდა, შეწყრომა ჩაიტანა ერთი განაპირა უბანი სოფლისა სახლ-კარით, კარმიდამოთი და რაც წლის

არის ქართულ მწერლობისათვის. თუმცა წინადაც დაბეჭდილა თითოოროლა წიგნაკი ჩვენის კლასიკებისა, მაგრამ სახელმძღვანელოსებური ხასიათი არა ჰქონია. ცხადად და ბეჯითად მხოლოდ ბ-ნი მ. ჯანაშვილი მიხვედრილა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს, როცა რომლისმე ტის თხზულება სახელმძღვანელოსებურ წიგნად იბეჭდება. სხვაგან, აი თუნდ რუსეთში, მეტად ხშირია ასეთის თხზულებების ბეჭდვა და ხალხში გავრცელება. დასავლეთ ევროპაში ხომ დიდი ხანია ამ საქმეს ადგანან. იქ არც ერთი შესანიშნავი კლასიკი არ დარჩენილა, რომ მისი ბიოგრაფია და ნაღვაწვები მთელ ერისათვის არ მოეფინათ. ეს სწორედ ეგრეც უნდა იყვეს, რადგანაც კლასიკების შესწავლას, იმათ თხზულებათა აღბეჭდვას, იმათ აზრთა და მოძღვრებათა გავრცელებას ძლიერი გავლენა აქვს ეროვნების აღორძინებაზედ და ხალხის თვით-ცნობიერების განტკიცებაზედ. სამუდამოდ განქრა ის დრო, როცა მხოლოდ რჩეულსა და მდიდარს შეეძლო დამტკბარიყო სახელოვან კლასიკის ნაწარმოებით. სტამბამ და ბეჭვდამ ძირითადი ცვლილება მოახდინა განათლების ისტორიაში, თვით პოეზიის უზენაესი ქნარიც მდაბიო კაცის მოთხოვნილებად და საკუთრებად გადაქცია. ახლა აზრისა და განათლების მიმდინარეობას საერთო და საყოველთაო გზა გაეხსნა. ჩვენს დროს ევროპაში უდიდესი პოეტნი ამშვენებენ როგორც პალატსა და სრა-სასახლეს, ისრე უბრალო სახლსა და ქოხსა.

დიად, გონებრივის განვითარების ისტორიაში უმაგალითო ცვლილება მოხდა! მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, როგორც ბევრ სხვაში, ისრე აქაც საქართველო ძრიელ ჩამორჩა განათლებულ ქვეყნებს. ჩვენს სტამბასა და ბეჭდვას აქამომდე თითქმის ჯერაც არ უზრუნვია იმ დიდის საქმისათვის, რომელიც განათლებულ ევროპაში დაიწყო. შოთა რუსთაველის და სხვა ორიოდეს გარდა, არც ერთს ჩვენს კლასიკზედ ახლაც ხელი არ მიუწვდება მდაბიო ქართველსა. და სავალალო კიდევ ის უფროა, რომ თვით შოთა რუსთაველიც, ეს დასაბამი და დასასრული ჩვენის წარსულის გონიერებისა, იმ სახით ეკლინება და ეჩვენება საზოგადოებას, რომ ბევრისათვის გაუგებარია. თუმცა „ვეფხის ტყაოსანი“ იაფ ფასადაც აღბეჭდეს, მაგრამ ფასი რა შუაშია, როდესაც აღბეჭდასა და დასტამბვასაც მოხერხება და აზრი ესაპეროება. არ უნდა დავიიეწყოთ, რომ რუსთაველის უკვდავი ქმნილება მაღალი და უსაზღვრო აღმფრენაა სულისა და გულის და მდაბიო მკითხველი თვის-თავად, უხელმძღვანელოდ ვერ მისწვდება პოეტის ქნარის სიდიადეს...

—

პლატონ იოსელიანი ამბობს, რომ შოთა რუსთაველი მეთორმეტე საუკუნის დანტეაო. შეიძლება დანტეს შოთა გენიოსობაში არც-კი დაუფარდეს, მაგრამ სამშობლო თვითეულს ამთგანს სხვა-და-სხვა გვარად მოეპყრო. თითქმის პირველადვე დანტეს სამშობლოში ცალკე კათედრა დაარსდა და უნივერსიტეტში ყოველ მხრივ იკვლევდნენ და იძიებდნენ „ღვთიურს კომედიას“. ამის გამო დანტეს პოემა საფუძვლიანად და საბუთიანად შესწავლილია, თვითეული მისი სტრიქონი განმარტებული და გარკვეულია. ჩვენს დანტეს ბედი სხვაფრივ დატრიალდა. „ვეფხის ტყაოსნის“ დაწერის შემდეგ ცოტა ხანს ეცხოვრა. ეს ამბავი ჩვენ ვიცით, ეს ამბავი, თუ პირველი არა, ახალი მაინც

ლებელ ბიბლიოთეკა“ ეგზემპლარი ბ-ნ ალ. ბ-ნ ალ. ბ-ნ ალ.

სარჩო ებადათ, მხოლოდ ერთმა გლეხმა ნონე ჯიბოშვილმა, რომელიც არის დანიშნული მამასახლისად ს. ატოცის საზოგადოებაში—გადაარჩინა ხალხის შემწეობით ჭირნახული და სხვა სანოვაგე, დანარჩენები-კი დარჩენ ცარიელები.

*** ს. მეჯვარისხევი: მეჯვარისხევში ერთი შემაუუბებელი ამბავი მოხდა. სამს აპრილს, ღამით, გასტეხეს შუა სოფელში წმიდა მარინეს ეკკლესია, საიდამაც გაიტანეს შემდეგი ნივთები: ბარძიმ-ფეშხუში, ხუთი ჯვარი (სამი ვერცხლისა, ორი-კი უბრალო), ლვდლის შესამოსები, სანთლის ფული 45 მ. და კანდელი. ერთი სიტყვით, ოცი თუმნის საღირალი რამ. აგრეთვე დაპირეს უსინეთის ეკკლესიის გატეხაც, მაგრამ იქვე პირდაპირ სკოლაა და როდესაც ქვის ცემა დაუწყეს კარებს, მაშინვე მასწავლებლის ცოლს გაეგონა ხმაურობა; ამათ ფანჯარაზედ ლამპა დაედგათ და მაშინვე ხმაურობაც შემწყდარიყო.

გორში მიმავალ გლეხებს გზაზედ ეპოვნათ დაფარნა, რომელიც წარედგინათ მაზრის უფროსისათვის და სხვა-კი ჯერ არა ვიცით-რა. აგრეთვე პირველ აპრილს გაძარცვეს ახალ სოფლის მღვდელი, რომლისათვისაც წაუთმეფიათ რაც ჰქონია, როგორც ამბობენ, და ბოლოს გაუხვევიათ საბანში და გაუთოკნიათ საბრალო.

ᲥᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ.

სამეგრელო. არ შეიძლება კაცმა წარმოიდგინოს ის უფუფლობა, როგორიც წარსულსა და მდგომარე წელს საკუთრად მთელს სამეგრელოში არის. მრავალი ოჯახი ბრწყინავდ დღესასწაულს ასე მეკუკეს, რომ წელიც რა არის, ასალი არ უფიდა. ბურ-ბარდალსა და ლამაზ-ლამაზ სარმაან მესთ-წუდებისა

მტრობა და დევნა დაუწყო ზეციურის პოეტის ქნარსა! ეტი ლა უკეულმართობა იქნება!? რასაკვირველია, იმ დროს ყოველად შეუძლებელი იყო «ვეფხის-ტყაოსნის» მეცნიერულად შესწავლა. ესეთი შესწავლა მხოლოდ ჩვენს დროს დაიწყო.

ბ-ნს ჯანაშვილს თავისს წიგნში მოყვანილი აქვს ამ შესწავლის ისტორია. ავტორი კარგად მოქცეულა, რომ ზრომა არ დაუზოგია, შეუკრებია და შეუსწავლია რუსთაველის მკვლევართა და შემსწავლელთა ნაღვაწევი და თვითეულ მათგანის აზრი და შეხედულება ერთად მოუთავსებია. დიდად საინტერესოა ეს საბიბლიოგრაფიო ისტორია. სხვისა რა მოგახსენოთ და ჩვენ-კი ამ ისტორიის განხილვამ ცხადად დაგვანახა, რომ ჯერ კიდევ ზორს არის ის დრო, როცა „ვეფხის ტყაოსან ზედ“ საბოლოოო და ბეჯითი სიტყვა ითქმის. წარმოიდგინეთ, რომ ჯერაც ჩვენი მეცნიერები და ლიტერატორები დავობენ და ცდილობენ იმის გამო,—„ვეფხის ტყაოსანი“ სპარსულიდგან ნათარგმნია, თუ ორგინალი თხზულებაო... ამ საკამთო საკითხავის განსამარტებლად უფრო საყურადღებოა საისტორიო სკოლის მოძღვრება, რომელიც, თუ არ ვსცდებით, პირველად განსვენებულმა დ. ბაქრაძემ გამოსთქვა *) და რომელსაც

*) შემდეგ ამ გზას დაადგა ბ-ნი ა. ნანეიშვილი და შესანიშნავი ფელეტონებიც დაბეჭდა ჩვენს გაზეთში, მაგრამ ზრომა-კი ვერ

და ტან-სცმელის მოკაზრდი მეგრელი ჩვენებრივად დღესასწაულებში მოგლებული იყო ყოველ გვარ საამოვნებასა და დროს გატარებას. რა არის ამისი მიზეზი? მიზეზი ამისი გასდგაო წარსულის წლის ჭირნახულის მოუსავლობა, რომელსაც სალხის ამგვარი შეუუსვა მოჰყვა. მარდლიტ და, სუბუდურად და სამწუხაროდ, სამეგრელოში გარდა სიმინდისა, სხვა წყარო ცხოვრებისა არაფერი არ არის. სიმინდის მოყლის სამეგრელოს მარჩენელი და ერთად-ერთი უპირველესი სალხარი ცხოვრებისა. შრშან ხომ სიმინდმა ყველს თავი დაუგრა. რა უნდა ქნას სალხმა, რითი და როგორ მოიშოროს ის კარდასასდი, რომელიც იქაურს ფუსარას უწერია?.. რითი უნდა გამოჭეკეროს კლეტმა თავისი წერილი ტოდ შეიდი? სწორედ ამის ფიქრში და გდოგაში არიან დღეს მთელი სამეგრელოს მკედრნი, წოდების განუფრეველად. ბედნიერად და დიდ-კაცად ჰქმი ის ითგლება, ვისაც ოდნავ მაინც შეუძლიან თავისი გაწარეგების კაძღოდ. უფუფლობამ-კი თავში ქვა იცესო, ამბობს მწარედ დაღონებული მუშა-კაცი...

საზოგადოდ წრეულს მთელს სამეგრელოში დიდი ზამთარი იყო. თოვლი უფბად ძალზე დიდი მოვიდა, მეხოვრეზელი ძლიერ შეეკეწეს მოფლოდნელს და არა ჩვეულებრივმა თოვლმა, რადგანაც ასეთი დიდი ზამთარი ჩვენში არასოდეს არ ყოფილა და არც მოველოდათ. არ გვქონდა შეშა, ჩალა საქონლისათვის, დაფქვილი და სხ. და სხ.; შინაური საქონელი თითქმის ნახევარზე მეტი დაგვეფოცა შიმშილითა და სიცივეთა. სახლებიც მრავალი დაანგრია დიდმა თოვლმა. რადგანაც დაფქვილი არა გვქონდა მოსაფშვნელს სიმინდსა ვსჭამდით...

მარტამდის მზის სხეული თვალითაც არ გვინახავს. მარტმა პირველი გაბეგეღმა, მაგრამ ბოდოს-კი ჩაგვაშუამა.

ემბრობა ბ-ნი ჯანაშვილიც. იგი მოძღვრება ამტკიცებს, რომ „ვეფხის ტყაოსნის“ ამბავი და შინაარსი სრულიად ეთანხმება საქართველოს თანამედროვე ცხოვრებას და რაკი ასეა, თვით პოემის თარგმანებაზედ მსჯელობა მეტი უნდა იყვესო. ბ-ნს ავტორს ამოწერილი და ერთიერთმანეთთან შედარებული აქვს სხვა-დასხვა ადგილები პოემისა და მატიანისი. ამ ხერხითი და საშუალებით იგი ამტკიცებ, რომ „ვეფხის ტყაოსანი“ შოთა რუსთაველის საეროვნო და ორგინალი, მისის შემოქმედებითის ნიჭის საკუთარი ნაწარმოებია. ჩვენც ავტორის აზრისა ვართ, მხოლოდ ერთი გარემოება-კი უნდა აღვნიშნოთ. საკმაო არ არის რამდენისმე, თუნდა ბეჯრის ადგილის ამოწერა და შედარება. არც ის კმარა, როცა მარტო პოემის ზღაპარს (ფაბული) აქცევენ ყურადღებას. საკვირაოა, რომ „ვეფხის ტყაოსანი“ და მატიანეს მოთხრობა ვრცლად და ყოველ მხრივ შეადარონ და ერთიერთმანეთს დაუპირდაპირონ. თუ უკვდავი პოემა თანამედროვე ცხოვრების სარკეა, მაშინ ამ სარკეში მთელი მცხოვრება უნდა იხატებოდეს თვისის შინაარსითა და ხასიათითა. „ვეფხის ტყაოსანს“ და მატიანეს შედარება უნდა მარტო იმ მხრით-კი არა, რომ ამბავი იქაც და აქაც ერ-

დაამთავრა, ალბად იმიტომ, რომ ესეთი ზრომა ადვილი საქმე არ არის.

ავტ.

20—დე რიგიანი დარება იდგა, მერმე მოლად მოიდუშა, ატეიდან და ჯოგის პირუფლმა წვიმებმა თავი მოგვაბეზრა. მდინარეები გადაეედნენ ნაპირებიდან და დიდი ზარალი მისცეს სოგიერთ სოფლებსა...

ტრიფონ ალანდარიშვილი.

2 აპრილი, 1886 წ.
ახალ-სენაკი.

ᲑᲠᲐᲛᲐ—ᲡᲘᲜᲐᲗᲚᲘᲗ ᲙᲐᲛᲔᲣᲚᲘᲗ?!

„ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ, ᲦᲕᲗ. ᲛᲨᲕᲝᲚᲚᲘᲡ ᲬᲘᲚᲘ-ᲮᲕᲔᲓᲠᲘᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ“, „ᲐᲣᲪᲮᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ“. აი, ამგვარი ქება-დიდება გვესმის დიდი ხანია საქართველოს შესახებ, მაგრამ ამის არაფერი შეუცვლია, ცხოვრებას ვერ დახმარებია. ამგვარ მოსაზრების მთქმელი დარწმუნებიონ გვეუბნება, რომ მას თანავუგრძნოთ, ვიწმოთ მისი რწმენები და მისებურათ გავიძახოდეთ „ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ“; ამ ღაღადების ხმას მოწონავენი ჩვენ გადმოგვცემენ, ჩვენ მომავალს უნდა გადავცეთ, მომავალი მის შედეგს გადასცემს და თუ ეს ასე მოეწყო, ქართველებს გვეცოდინება, რომ ჩვენი საქართველო კურთხეულია; მერე?! მერე არაფერი, ვიწამეთ, რომ კურთხეულია; სად არის ამგვარის რწმენების საზღვარი?

დრო არის ჩვენმა პატრიოტებმა, სამშობლოს მოყვარეებმა, შეიგნონ (თუ მათ მართლა უყვართ სამშობლო), სადაც იწყება სიყვარულის სათავე. განამტკიცონ ეს სიყვარულის სათავე და ზედ დაიშენონ შემდეგი სიყვარული, კურთხეული საქართველოისა.

ნუ დავივიწყებთ, ბეჯითადაც ვიცოდეთ, რომ წინანდელი „კურთხეულები“ თანამედროვე კურთხევამ განზე გარიყა. ეს მეცნიერებაა, რომელიც წასული დრო, წასული ჩვეულებები, წასული წყობილებები,

თიაო, არა,—იგი შედარება უნდა დამყარდეს ვრცელსა და ფართო საფუძველზედ...

—

„ᲕᲔᲤᲮᲘᲡ ᲢᲧᲐᲝᲡᲜᲘᲡ“ მარტო მაღალი ლიტერატურული ღირსება საკმაო როდი იყო, რომ ეს პოემა საერო განძად გარდიქცა. აქ არა ნაკლები გვაქვს ასეთ გარემოებასაც ჰქონდა. რუსთაველის პოემა ხელოვნური მატეანა, ლექსად მოთხრობილი ვრცელი ისტორიაა ჩვენის ოქროს საუკუნისა. მთელი ცხოვრება, მთელი ბრწყინვალე ხანა თვისის სავსებით ამ პოემაშია მოქცეული. ბ-ნს მ. ჯანაშვილს წიგნის მესამე განყოფილებაში მოუთავსებია პოეტის „სიბრძნენი და თქმულობანი.“ ჯერ მარტო ამ „სიბრძნეთა და თქმულობათა“ შესწავლითა და გამოკვლევით შეიძლება იმ დროინდელ საქართველოს გონებრივი, ზნეობრივი, ეკონომიური და სხვა გვარი მდგომარეობა აღინიშნოს და აღიწეროს. ეს იმიტომ, რომ რუსთაველის თვითეული აფორიზმი ცხოვრებისა და სინამდვილის დამახასიათებელი ფორმულაა. მიზეზიც აქ არის, რომ ქართველს აქამომდე თავისის მგოსანის აფორიზმი პირზედ აკერია, თითქო წარსულის ნაანდერძევი მცნებაა. დიაღ, „ვეფხვის ტყაოსანში“, ყოველგვარი მკვლევარი—პოლიტიკოსი, ეკონომისი, ფილოსოფოსი, გრამატიკოსი, მორალისტი და სხ.—შესაფერს საზრდოსა და მასალას იპოვის. ამიტომ ჩვენ შეტდომად მიგვაჩნია, როცა მარტო პოემის მოთხრობას აქცევენ ყურადღებას და ისტორიულად ადარებენ მატიანესა—„ქართლის ცხოვრებას“. როცა პოემას ვრცლად და ყოველ მხრივ შეისწავლიან და შეადარებენ თანამედროვე ისტორიულს ცხოვრებას, მხოლოდ მაშინ გამოჩნდება, თუ რა ამაო ცოდილობაა პოემის დედანის ძებნა სპარსეთში და ინგლისის სატახტო ქალაქში... რასაკვირველია, ადვილი საქმე არ არის პოემის ისეთი შესწავლა, როგორსაც ჩვენ ვუჩვენებთ, მაგრამ იგი შესწავლა ერთად-ერთი საშუალებაა სადავო საკითხავის გადაწყვეტად. ჩვენი ავტორი ვერც შეუდგებოდა ამ დიდ ძნელს საქმესა. იგი მადლობის ღირსია მარტო იმისთვისაც, „რომ გზა და კვალი აღნიშნა და მომავალ მძიებელს უჩვენა,—რა არის საჭირო იმის დასამტკიცებლად, რომ „ვეფხს ტყაოსანი“ ჩვენი საერთო ქმნილებაა და არა ნათარგმნი თხზულება...

არ ვიცით, როდის ეღირსება რუსთაველის პოემას ვრცელი და საფუძვლიანი შესწავლა, მაგრამ ცხადი კია, რომ ჩვენი ინტელიგენცია გულ-გრილად ეკიდება თავისის ლიტერატურის კლასიკებს. არ შეიძლება ითქვას, რომ ქართველობას განვითარებული და მომზადებული პედაგოგები არა ჰყავდეს იმ ზრომისათვის, რომელნიც ჩვენ თვდაპირველად ვუჩვენეთ. საკვირაოა მხოლოდ

ნია, როცა მარტო პოემის მოთხრობას აქცევენ ყურადღებას და ისტორიულად ადარებენ მატიანესა—„ქართლის ცხოვრებას“. როცა პოემას ვრცლად და ყოველ მხრივ შეისწავლიან და შეადარებენ თანამედროვე ისტორიულს ცხოვრებას, მხოლოდ მაშინ გამოჩნდება, თუ რა ამაო ცოდილობაა პოემის დედანის ძებნა სპარსეთში და ინგლისის სატახტო ქალაქში... რასაკვირველია, ადვილი საქმე არ არის პოემის ისეთი შესწავლა, როგორსაც ჩვენ ვუჩვენებთ, მაგრამ იგი შესწავლა ერთად-ერთი საშუალებაა სადავო საკითხავის გადაწყვეტად. ჩვენი ავტორი ვერც შეუდგებოდა ამ დიდ ძნელს საქმესა. იგი მადლობის ღირსია მარტო იმისთვისაც, „რომ გზა და კვალი აღნიშნა და მომავალ მძიებელს უჩვენა,—რა არის საჭირო იმის დასამტკიცებლად, რომ „ვეფხს ტყაოსანი“ ჩვენი საერთო ქმნილებაა და არა ნათარგმნი თხზულება...

არ ვიცით, როდის ეღირსება რუსთაველის პოემას ვრცელი და საფუძვლიანი შესწავლა, მაგრამ ცხადი კია, რომ ჩვენი ინტელიგენცია გულ-გრილად ეკიდება თავისის ლიტერატურის კლასიკებს. არ შეიძლება ითქვას, რომ ქართველობას განვითარებული და მომზადებული პედაგოგები არა ჰყავდეს იმ ზრომისათვის, რომელნიც ჩვენ თვდაპირველად ვუჩვენეთ. საკვირაოა მხოლოდ

კაცმა თავის მშეულელი ეაკალა, ჩვენ, ქართველებიც ორ ეიქნენთ ამისგან განთავისუფლებული. ჩვენც აქ უნდა ვეძიოთ. საზოგადოთ ვამბობ: ბევრი კითხვები წარმოდგა ჩვენში. უმეტესი ნაწილი ამ კითხვების მიმართულია ჩვენი წარსულის გამოკვლევისაკენ ამით ჩვენ გვსურს ჩვენს თავს ვიცნობდეთ და სხვასაც გავეცნოთ. ამ მოსაზრების წინა ღმდეგ, რომ თავს ვიცნობდეთ და სხვასაც თავი გავაცნოთო, არა მაქვს-რა. მხოლოდ არ მწამს ამ მიზნის მისაღწევად წამოყენებული მეთოდი. თუ ჩვენშივე ვეძიეთ ჩვენი ამამღლებელი მიზეზი, აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთო, რომ ჩვენს თავს დიდ ვინმეთ ვთვლით, გვრწმამს რომ ვითომ ჩვენც გვქონდა, ანუ გვაქვს კულტურა, რიოაც შეგვიძლიან თავი დავიკმაყოფილოთ. ეს რწმენა დამპრმავებელია და განთ. ლება ესეპირობა. 17 საუკუნის პირველ ნახევრის ფილოსოფოსი დეკარტი გვეუბნება: შევიგნე, რომ დამტკიცებულად არაფერი მივიღო, რომელიც (საგანი, მოვლენა) არ დამარწმუნებს მაგალითებით და ჩვეულებით თავისს არსებობას. ეს ციტადი მომყავს იმისს საპასუხოდ, ვისაც სწამს, რომ ჩვენში მოიპოვება წყარო ჩვენი დიდებისა, ამის მაგალითებს, საბუთებს-კი ვერ ვხედავთ.

ერი, ადამიანი, პირველათ აუცილებელ საჭიროებას უნდა აკმაყოფილებდეს, შემდეგ უნდა მიჰყოს ხელი სხვა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას; ესთქვათ, კარგათ გამოვიკვლიეთ ჩვენი წარსული, შევისწავლეთ იგი, გავანათე—გავაბრწყინეთ—შევიგნეთ, რომ ჩვენ ქართველები ვართ; ამით მივდივართ ფრანგთან ან ინგლისელთან და ვეუბნებით: აი ჩვენი ისტორია ჩვენი წარსული,

საქმის შეგნება და მხნეობა. ჩვენი მოზარდი თაობა უკეთ ლიტერატურის კლასიკებს ეტანება, ძალ-ღონეს იმით შესწავლას ალევს და საკუთარის მწერლების სახელიც კი ხშირად არ იცის. ქართველ პედაგოგების მოვალეობაა ამ უკეულმართობას ბოლო მოეღოს. თორემ აბა რასა ჰგავს აი თუნდ ესეთი ამბავი: პატიკეტეფილი ი. როსტომაშვილი აცხადებს, რომ ამ წლის განმავლობაში ჩემის თოსნობით თერმეტი ახალი ქართული წიგნი დაიბეჭდებაო. ამ წიგნთა რიცხვში მოხსენებულია ბოკლის ისტორია ცივილიზაციისა და კარნოს ისტორია რევოლიუციისა. კარგი და პატიოსანი,—ერთიც და მეორეც სასარგებლო და სასიამოვნოა, მაგრამ ქართველმა ძველმა მწერლებმა რაღა დაიშავეს... ჰესტალოცის კლასიკური მოთხრობა იბეჭდებაო.. მაგრამ ქართულ ლიტერატურის კლასიკური მოთხრობანი რატომ აღარ უნდა იბეჭდებოდნ?.. ბ-ნი ივანე პავლეს ძე როსტომაშვილი ენერგიისა და ზრომის კაცია, დიაღ მტკიცე ხასიათის მოღვაწეა და მცოდნე პედაგოგიც. რაკი ასეთმა კაცმა ხელი მოჰკიდა საპედაგოგიო მწერლობას, ძრიელ კარგს იზამდა, რომ ბ-ნ მოსე ჯანაშვილის „სახელმძღვანელოსებური წიგნი“ მაგალითად აეღო და შესდგომოდა ქართულ კლასიკების მოთხრობათა და სხვა თხზულებათა გამოცემას.

ნ. ურბელი.

ჩვენი დიდება; ისენი ნახავენ, რომ ჩვენ გვქონია, ჩვენი ისტორია, არსებულა ჩვენი ერი, უბრძოლია თავის დაცვისთვის და სხ. ამაზე ისინი გვპასუხებენ: რათ გგონიათ, რომ მარტო თქვენ გაქვთ ისტორია, თქვენ გიბრძოლიათ თავის დაცვისთვის. ნუ დაივიწყებთ, რომ ამ გვარ ხანაში გაიარა თითქმის ყველა ერმაო. მოგვიბრუნდება და გვეტყვის კარგი, მაგრამ დღეს, რომ ცხოვრება ასე მოიწყო, მეცნიერება გამდიდრდა-გაფართოვდა, აქ, ამ მსოფლიო სალარაოში, რა შემოგაქვს ანუ რა გაგაქვს, რას იძენო; მთელი გუნდი ჩვენი თავის გასაცნობი კითხვების ამ გვარ პასუხის შემდეგ აქ მოიყრიან თავს. ამას ვერ ასცდებიან. აქ არის კითხვების დასაწყისი, და აქვე მიიღებს ლოღიკურ ახსნას.

ივ. ბულბულაშვილი.

(შემდეგი იქნება)·

უცხოეთი

ᲔᲒᲕᲘᲞᲢᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ. ავსტრიელი გაზეთები ინგლიისის პოლიტიკას მხარს უჭერენ ეგვიპტის საქმეში და რუსეთის პოლიტიკას ეჭვის თვალით უყურებენ. მთავრობის წრეებთან დაახლოვებული „პრესსი“ ამბობს: „პოლიტიშე კორესპონდენცეში“ დასტამბული წერილი კარგად გვამცნებს აზრს სფრანგეთისა და რუსეთის პოლიტიკისას ეგვიპტის საქმეებში. ამ პოლიტიკის აზრია, ხმელთა შუა ზღვაზედ ინგლისის მნიშვნელობა შეამციროს და რუსეთსა და საფრანგეთს მისცეს პირველობა.

ტაუელიაო ის ხმები, ვითომ საფრანგეთსა ჰსურდეს საერთა-შორისო მედიატორეთა სამართალი მოიწვიოს ამ საქმის შესახებ. „ეურნალ დე დება“ ამბობს, რომ ეს სამართალი არავითარს სარგებლობას არ მოგვიტანს ვნების მეტსაო. როგორც ეს გაზეთი, ისე სხვა ფრანგული გაზეთები იმ აზრისა არიან—ინგლისთან სიამტკბილობით გავათავოთ საქმეო. სამინისტროს გაზეთი «ეური» აი რას ამბობს: „არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენთვის მეტად მძიმეა ეგვიპტის საქმის ასე ადვილად გარდაწყვეტაო, ჩვენს დიპლომატიას ეგვიპტეში ყოველთვის წინ ეღობება ქონებრივი და ფინანსიური დაბრკოლება. ამიტომაც ინგლიისს უნდა მოვუფიგდეთ, ეინიანობა ამისთანა საქმეში არას გვარგებს. ინგლისსა და ჩვენს შორის ჩვენვე გამოვაწყობთ საქმეებს, ამაში ევროპის სხვა სახელმწიფოების გარევა არაფერი საჭიროა.

„ინდეპანდანს ბელჟეს“ სწერენ პეტერბურგიდამ, მართალია რუსეთმა საფრანგეთს ხმარი მისცა ეგვიპტის საქმეში, მაგრამ სულაც არა ჰსურს სერიოზული შედეგი მოჰყვეს ამ საქმეს. თუ-კი ინგლისი ეგვიპტიდამ ჯარების გამოყვანას შეჰპირდება რუსეთს, მთავრობა ამით სრულიად დაკმაყოფილდება. ეხლა იმასაც ამბობენ, რომ უკეთესია დონგოლას ექსპედიციისთვის ეგვიპტის სათადარიგო თანხიდამ დაიხარჯოს ფულები, რადგან მაშინ რუსეთსა და საფრანგეთს შეუძლია სუდანის დაპერაში და მისი საქმეების მოწყობაში კონტროლი ჰქონდეთ. ხოლო თუ ინგლისმა თავისი ხარჯით დაიპყრო სუდანი, მაშინ, რასაკვირველია, არც ერთს სახელმწიფოს არა აქვს უფლება მის საქმეებში გაერიოსო.

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ. იტალიელთა და აბაშელთა დამოკიდებულება გამოურკვეველია. რას მანგაშა სხოზეს ბალდისერას, დაიჩქარე და ელჩი გაუგზავნე ნეგუს მენელიკს მოსალაპარაკებლადაო. გენერალი ბალდისერა ეკი ადგილებს ათვალიერებს და როგორაცა ჰგავს, ჰსურს კარგად მოეწყოს საომრად. გარდაწყვეტილია ოთხი ახალი ციხე-სიმაგრე აეშენონ. ეს ციხე-სიმაგრეები ეხლანდელი სამხედრო მეცნიერების მოთხოვნილების მიხედვით იქმნებიან აშენებულნი და მოწყობილნი, რადგან იტალიელებმა იციან, რომ ძლიერს მტერთანა აქვს საქმე.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ. „ფიგაროში“ როგორც იცით, დასტამბული იყო წერილი საფრანგეთის ეხლანდელი სამინისტროს მდგომარეობის შესახებ. ეხლა იმასაც ამბობენ, რომ ფორსა და ბურჟუსს შუა უთანხმოება ჩამოვარდაო. „ფიგაროშივე“ სწერია, ბურჟუამ გამოუცხადა ფორს, თუმცა სენატმა უკმაყოფილება გამოგვიცხადა, მაგრამ ჩვენ სამსახურს თავს არ დავანებებთო. ამაზე თურმე რესპუბლიკის პრეზიდენტმა უპასუხა: „თქვენ უთუოდ კარგად მოიფიქრებდით და მერე დაადგებოდით ამ გარდაწყვეტილებას“. რადიკალთა და სოციალისტთა გაზეთები ამტყუნებენ ფორს, ვერ დარჩი ბოლომდის კონსტიტუციის მიუდგომელი და მხნე დამცველიო. „მატენ“-ში ჟორესი ურჩევს ბურჟუას, მოსთხოვე პრეზიდენტს, პარლამენტი დაითხოვოსო. „თუ ამაზედ უარი სთქვა ფორმა და ხალხის სურვილის დაკითხვის ნება არ მოგვეცა, ეს უკანონო მოქმედება იქმნება, სახელმწიფო წესების დამარღვეველი, რომელიც უსათუოდ რევოლიუციას გამოიწვევსო.“

ᲡᲐᲯᲘᲠᲝ ᲪᲜᲝᲑᲐ

შემდეგი *)

10) საზოგადო და წოდებრივი დაწესებულებანი და კრებანი, რომელთაც შემოაქვთ ბიბლიოთეკის სასარგებლოდ წლიურად არა ნაკლებ ამდენისა და ამდენის მანეთისა, ეყოლებათ თავიანთი წარმომადგენელი ბიბლიოთეკის საბჭოში.

11) ის პირნი, რომელნიც შემოიტანენ ერთხანად ბიბლიოთეკის სასარგებლოდ არა ნაკლებ 00 მანეთისა, სასპატიო წევრად ჩაირიცხებიან. იმათ ექმნებათ ისეთივე ხმა, როგორც სხვა წევრებს.

12) ის ფულები, რომელთაც შემოიტანენ სასპატიო წევრები, ბიბლიოთეკის ხელ-უხლებელ თანხად ითვლება. წევრებს შეუძლიანთ მიუმატონ ხელ-უხლებელს თანხას სხვა ფულიდამ შემოსული სარგებლის რაოდენობა.

13) ბიბლიოთეკის წევრება ყოველ წლივ ირჩევენ სარეგიზიო კომისიას ბიბლიოთეკის საქმეებთა გასასინჯავად.

14) კრება ირჩევს საბჭოს წარდგენით წიგნთ-საცავის გამგეს.

15) წიგნთ-საცავის გამგეს ეძლევა ჯამაგირი, კრების გარდაწყვეტილებით.

16) ხარჯთ-აღრიცხვას ამტკიცებს კრება.

17) წიგნებს აძლევენ ბიბლიოთეკიდამ: ა) სახლში საკითხავად. ბ) თვით ბიბლიოთეკის სადგომში წასაკითხავად.

18) ბიბლიოთეკა არ ახდევინებს ფასს, არც გირაოს, არც ჯარიმას წიგნის დროზედ მოუტანლობისათვის.

19) ბიბლიოთეკა იმ დროს იქნება გახსნილი, რა დროსაც დანიშნავს საბჭო.

20) ბიბლიოთეკა დახურულია აღდგომის პირველ ორს დღეს, 24, 25, 26 დეკემბერს, 5 იანვარს, დიდ ხუთშაბათს, დიდ პარასკევს და დიდ შაბათს და ყოველ კვირაში ერთ მუშა დღეს, რომელსაც დანიშნავს საბჭო.

21) ვინც სახლში წაიღებს წიგნს, დანიშნულს დროზედ უნდა დაბრუნოს, შეიძლება თუ წიგნთ-საცავის გამგე დასთანხმდება ეს დრო გადაიდგეს.

2) ბიბლიოთეკის წესები გამოკიდული უნდა იყოს თვალსაჩინო ადგილას.

23) ბიბლიოთეკის წესების დამრღვეველთ, თუ საბჭო მოისურვებს, აღეკრძალებათ წიგნებით სარგებლობა რამდენიმე ხნით.

24) ბიბლიოთეკის ანგარიში წარედგინება კრებას.

25) ბიბლიოთეკაში უნდა იწერებოდეს სია იმ წიგნებთა, რომელთაც აძლევენ საკითხავად და აგრეთვე მეკითხველთა სია.

26) ამ წესდების მუხლები შესაძლებელია შეიცვალოს, თუ ამას საჭიროდა სცნობს საბჭო, ადგილობრივ პირობათა მიხედვით.

*) იხ. «ივერია» № 75.

ᲔᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘᲡᲐ

ამოკრებილი ამბები.

— მთელი სიგძე რკინის გზებისე მთელს ქვეყნიერობაზე არის 600,000 კილომეტრი (კილომეტრი ვერსტზე ცოტა ნაკლებია.) ამ გზების გაკეთებაზე დახარჯულია 60 ათასი მილლიონი მანეთი. ამ 600,000 კილომეტრისა ნახევარზე მეტი მოდის ამერიკაზე, ერთ მესამედზედ ევროპაზე, ევროპას მოსდევს აზია, ავსტრალია და აფრიკა. მარტო ჩრდილო ამერიკაში რკინის გზები 40,000 კილომეტრით მეტია, ვიდრე მთელს ევროპაში. მარტო ერთს 1887 წელიწადში იქ რკინის გზები გაუკეთებიათ 20,000 კილომეტრამდე. აზიასა, ავსტრალიასა და აფრიკაში 1850 წლამდე ერთი გოჯიც რკინის გზა არ ყოფილა. მერე, ცოტა გვიან რკინის გზების კეთება ძალიერად გაძლიერდა აზიაში, ნამეტნავად ინგლისის ინდოეთში, საცა 1889 წ. უკვე იყო რკინის გზა 29,000 კილომეტრამდე. სულ მთელს აზიაში 30,000 კილომეტრი რკინის გზაა, აფრიკაში—8,600 და ავსტრალიაში 20,000 კილომეტრამდე.

პირველ ხანებში ორთქლ-მავალი (паровозъ) სტეფენსონისა საათში მარტო რამდენსმე ვერსტს გადიოდა, ეხლა ინგლისში ჯერიერის მატარებელი აკეთებს საათში 80—90 ვერსტსა. ამერიკაში ხომ თქმა არ უნდა რა სისწრაფეთ დადის: იქ ამ ბოლოს ხანებში იმოდენა სისწრაფემდე მიადწიეს, რომ სწორედ ელვა ეგონება კაცს და თვით მატარებელსაც ელვა მატარებელი ჰქვიან. ამისთანა ელვა-მატარებელი დადის ნიუიორკის და ჩიკაგოს შუა, რომლის შორისაც 1400 ვერსტია და მატარებელი ამ გზას აკეთებს 20-ს საათში და ცხოჯერ დგება გზაში. ორთქლ-მავალი შვიდჯერ იცვლება გზა და გზა ასე, რომ თვითეულს ორთქლ-მავალს მიაქვს მატარებელი მარტო 200 ვერსტის მანძილზე. ორთქლ-მავალს სცვლიან ასე ხშირად იმიტომ, რომ არც ერთი მემანქინე, რაც გინდ მაგარის აგებულებისა იყოს, სამს საათზე ვერა სძლევს ფეხ-დგომელი იყოს ამისთანა ორთქლ-მავალზე. ვერ წარმოიდგენს კაცი, რა ძნელია კაცმა განაგოს და მოუფროს იმისთანა ორთქლ-მავალს, რომელიც საათში 75—100 ვერსტამდე გზას გადისო. (ᲗᲐ. ᲘᲚ.)

— გამოუძიებიათ რა ზედ-მოქმედება აქვს ადამიანის აგებულობაზე მწვანილსა და გამოსულა, რომ ისპანური თირკმელებს ჰშველის და აღონიერებს, სატაცური სისხლსა სწმენდს, ოხრახუში ძარღვებს ჰშველის, ამაგრებს და არჩენს ნევროზეგან, რუსული ბალრიჯანი (ტომატი) ჰშველის კუჭსა, სტაფილო და ბოლოკი მადას ჰმატებს, სალათა და კიტრი აგრილებს, ზეთის-ხილი და ნიორი სისხლის ტრიალს აძლიერებს, ნერწყვს უმატებს, ხახეი კარგი წამალია შარდის გაძლიერებისათვის და ერთობ კარგად მოქმედობს, როცა კაცი საპმელს ვერ ინელებს. (Თ. Ი Ლ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲐᲓᲜᲘ.

—

თავადნი ხერხეულიძენი. 6 დეკემბერს 1850 წ. უმაღლესად დამტკიცებულს სსქართველოს თავადთა სახელსა სიაში აღნიშნულნი არიან თავადნი სრულიად ესენი. 1) ბეკთ ზაზას ძე, ცოდი მისი სალომე და შვილნი მათნი: ალექსანდრე, ზაზა, კონსტანტინე და ილია; 2) ბარუჩიანი ალექსანდრე ფუარსების ძე და დედა მისი ანასტასია; 3) ქერიანი ზაქარიასი—მაია და შვილნი მათნი: ნიკოლოზ, ივანე და მახეილი; 4) დამიტრი ჯამოფოს ძე, ცოდი მისი მაგდანა და შვილი ამთია ელიზბარ; 5) ალექსანდრე ჯამოფოს ძე, ცოდი მისი ბარბარე და შვილი მთია ბესარიონი; 6) მახეილ ალასანგაის ძე; 7) ბესარიონ თიმურაზის ძე, ცოდი მისი სოფიო და შვილნი მათნი: ილია და სალომე; 8) ბეკან თიმურაზის ძე, ცოდი მისი მაგდანა და ასული ამთია ეფროსინე; 9) ბრაბორშიანი ელიშერ, ფავეთ და ელიზბარ თიმურაზის ძენი და 10) ბენერალ მაორი ზაქარია ხეოთნის ძე, ცოდი მისი ლადა და შვილნი მათნი: ნიკოლოზ, ნადეჟდა, სოფიო და ალექსანდრე.

უმაღლესად დამტკიცებულ სენატის დადგენილებით 26 ივნისს 1866 წ., 29 მარტს 1872 წ. და 15 ივნისს 1881 წ. ამგვარს შეუერთდნენ თავადნი სრულიად ესენი: 1) მარიამ მახეილის ასული; 2) ქაიხოსრო ქაიხოსროს ძე; 3) ივანე ბეკანის ძე და შვილნი მისნი ბეკან და ალექსანდრე; 4) ანნა, გიორგი და ნიკოლოზ ბეკანის ძენი და 5) ოთარამ ბეკანის ძე და შვილი მისი კონსტანტინე.

უმაღლესის ბრძანებით 4 დეკემბერს 1864 წ. ამგვარს შეუერთდნენ თავადნი სრულიად ესენი: 1) მახეილ მახეილის ძე და 2) ზურაბ ქაიხოსროს ძე და შვილნი მათნი დიმიტრი და მაია.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

—

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის პატივცემულ გაზეთ „ივერიის“ სსშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო ჩემსა და რწმუნებულის ჩემდასმო სამრეკლოის მეკიერ ქნის ნსდეკედ ბესარიონის ასულს ოოსელიანისასს, რომელმაც მიიღო შრომა და შეგვრაბა რწმუნებულის ჩემდასმო ეკლესიისათვის ზარის საყიდლად ოცდაშვიდი მანეთი და ორმოცდა-ოთხი კაპ. (27 მ. 44 კ.). გთხოვთ შემომწერეთ სიაც დაგვიბეჭდოთ. თითო მანეთი შემოსწერეს: 1 ილდატე ოოსელიანისამ, ალექსანდრე ბებურიშვილმა, ბ. კალანდაძემ, კ. ნ—შვილმა, ი. ალაშიძემ, № №, ი. ა. დეშაძემ, № №, სოფიო ქარცევაძემ, ი. ნ. ქარცევაძემ, ქნ მარია ალშიბაიასამ, გ-ნ. ყელეტმა, № №, ს. კამრეკლმა, ნინო ბერეკეთელისამ, სოფიო ყორდანასამ, № №, ბერბენე გოგატაძემ სამი ბაზარ. ᲗᲐᲗᲐ. ᲨᲣᲗᲝᲜᲘᲐ ᲑᲐᲚᲐᲛᲘᲜᲘᲡᲐᲛ, ნინო ᲯᲐᲜᲘᲫᲔᲠᲘᲫᲘᲡᲐᲛ, ი. მუნსაძემ, ᲒᲣᲠᲐ ᲒᲠᲔᲒᲝᲠᲘᲡᲐᲛ, კარდიგო ᲒᲔᲒᲔᲜᲘᲫᲔ, ფუტი დდონტმა.—ორ-ორი აბაზი: ნატალია ᲯᲘᲣᲯᲔᲚᲘᲡᲐᲛ და კასიდ დ ᲣᲨᲐᲫᲔ.—თითო აბაზი: № ნაკაიძემ, პირმენსი ტუდუშისამ (24 კ.) №№, დ. დოდიძემ, დ. სალუქაკაძემ, გრ. თენგიაშვილმა, დიმენტი შ—ძემ, ს. რიგეკაძ, ი. დომკარიამ, ი. ტეტნულაძემ, ა. კაკაძემ, ს. დდონტმა, ᲐᲐ. ᲗᲝᲜᲘᲨᲕᲘᲠᲘᲡᲐ, ᲒᲔ. ᲛᲔᲓᲔᲚᲘᲡᲐ, ს. დდონტმა, ᲐᲐ. ᲒᲝᲯᲝᲠᲘᲫᲔ, გრ. ᲯᲘᲣᲯᲔᲚᲘᲡ თ. დ. ᲒᲣᲒᲣᲜᲘᲫᲔ, ᲐᲐ. მუსნაცკიმ.—სამ-სამი შაური ს. ორბეკეკელიძემ, გ. ნ—ძემ, № №. ი. ᲐᲠᲣᲜᲘᲫᲔ, კონსტანტინე №, ე. დოდიძემ, ორ-ორი შაური: ᲒᲐ. ᲯᲐᲜᲘᲫᲔᲚᲘᲡᲐᲛ, ი. დოდიძემ, № №, ᲓᲐ. ფეიერტნალიაშვილმა, ი. მეფიკამ, ᲒᲐ. ᲒᲔᲒᲔᲜᲘᲫᲔ, ᲓᲐ. ᲓᲝᲓᲘᲫᲔᲛᲐ ᲘᲐ. სულეუნიამ, ᲓᲐ. ᲒᲝᲠᲓᲔᲚᲘᲫᲔᲛᲐ, ᲒᲐ. ᲒᲝᲯᲝᲠᲘᲫᲔ, თითო შაური ი. დომოსთიძემ, მ. რუსაიშვილმა, ი. დომოსთიძემ, თ. სიამიაშვილმა, ᲗᲐ. დდონტმა, ᲒᲐ. ᲐᲠᲐᲜᲘᲫᲔ.

მღვდელი სოლომონ ანდღულაძე.

1896 წელი მარტის 25 დღე.

ს. შემოქმედი.

—

ნება მიბოძოთ თქვენის კეთილის შეწეწეთ გულითადი მადლობა განგუცხადო ბ. ᲐᲠ. ᲭᲣᲗᲝᲜᲘᲫᲔᲡ, რომელმაც შემოსწერა მამა-დავითის სამრეკლო ქალთა სკოლის ოთხი ტანი წიგნი „წყარო“ თავისი შვილისა და ამბასთანაკე „ივერიის“ რედაქტისა, რომელიც ორი წელიწადია უსასყიდლად უგზავნის გაზეთს.

მამა-დავითის სამრეკლო ქალთა სკოლის ხელთ-საქმის მასწავლებელი კნ. ნინო თარხნიშვილისა.

1896 წ., 8 აპრ.

„ᲘᲕᲘᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲓᲔᲞᲔᲨᲐ.

(რუსეთის დეპეშათა საგენტოსაგან).

6 აპრილი.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. 6 აპრილს, დღის $12^1/_2$ საათზე, აქ მოვიდა მათი უმაღლესობა მთავარი ბულგარიისა ფერდინანდი, რომელსაც თან ახლავან მინისტრ-პრეზიდენტი სტოილოვი, სამხედრო მინისტრი პეტროვი და სხვანი. მთავარს ეოკალაზე დაუხვდნენ დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე, გზათა მინისტრი თავადი ხილკოვი, გენერ.-ად. რიხტერი, სიმპერატორო სასახლის მინისტრის თანაშემწე გენ.-ად. ბარონი ფრედერიქსი, პეტერბურგის გუბერნატორი გრაფი ტოლი, გვარდიის კორპუსის უფროსი გენ.-ად. მანზეი, პეტერბურგის კომენდანტი ადელსონი, ქალაქის უფროსი კლეიგელსი, რკინ. გზ. უფროსი ინსპექტორი მიასოედოვ-ივანოვი, სიმპერატორო მატარებელთა ინსპექტორი კოპიტკინი და სხვ. მთავარი ფერდინანდი აქედამ სახამთრო სასახლეში მიაცილეს.

ᲠᲝᲛᲘ. პოლკოვნიკმა სტეფანიმ მომეტებული ჯარი კასსალაში დასტოვა და რაზმის დანარჩენ ნაწილით კასსალასა და კერენს შუა გამაგრდა.

ᲘᲝᲙᲝᲰᲐᲛᲐ. კორეს მინისტრი, რომელსაც კორეს მეფესაგან სხვა-დასხვა მინდობილება აქვს თან, რუსეთში იქნნა გაგზავნილი მოსალაპარაკებლად იმისა, რომ 8 მილიონი დოლლარი სესხი მიეცეს ერთ-ერთ ჩრდილო პროვინციის გირაოთი.

ᲡᲣᲐᲙᲘᲜᲘ. 4 აპრილს, ტოკარას

მახლობლად 300 ცხენოსანი და 1,000 ქვეითი დერვიში ეგვიპტის ჯარების ერთს რაზმს თავს დაესხნენ, მაგრამ მალე პირი აბრუნებინეს.

7 აპრილი.

პეტერბურგი. უმაღლესად დამტკიცებული წეს-რიგი, რა დღეს რა უნდა მოხდეს წმ. დაგვირგვინების დროს: 6 მაისს მათნი უდიდებულესობანი პეტრეს სასახლეში მიბრძანდებიან; 7 მაისს ხოდინის ბაღს დაათვალიერებენ მათნი უდიდებულესობანი; 8 მაისს პეტრეს სასახლესთან სერენადას დაუკრავს მუსიკა; 9 მაისს მათნი უდიდებულესობანი ალექსანდრეს სასახლეში გადაბრძანდებიან; 10 მაისს საგანგებო დესპანებსა და ელჩებს მიიღებენ; 11 მაისს მათნი უდიდებულესობანი იმარხულებენ; მიიღებენ საგანგებო ელჩებს; გამოცხადდება წმ. დაგვირგვინება; 12 მაისს მათნი უდიდებულესობანი იმარხულებენ; საეკლესიო პარადი იქმნება; გამოცხადდება წმ. დაგვირგვინება; სახელმწიფო დროშას აკურთხებენ; 13 მაისს მათნი უდიდებულესობანი იმარხულებენ; გამოცხადდება წმ. დაგვირგვინება, საიმპერატორო სამკაულს გადატანენ; მათნი უდიდებულესობანი კრემლში გადაბრძანდებიან; 14 მაისს, სამშაბათს, წმიდა დაგვირგვინება იქმნება; მათის უდიდებულესობისათვის სადილი თლილის ქვით ნაგებ სასახლეში იქნება გამართული; ილიუმინაცია; 15 მაისს მიუღლოცავენ; გამართული იქნება სადილი სასულიერო წოდებისა და პირველის 2 კლასსის პირთათვის თლილის ქვით ნაგებ სასახლეში; ილიუმინაცია; 16 მაისს მილოცვა იქმნება; საღამოთი მათნი უდიდებულესობანი თლილის ქვით ნაგებ სასახლეში მიბრძანდებიან; ილიუმინაცია; 17 მაისს მილოცვა იქმნებაᲔ საიმპერატორო სამკაულს გადიტანენ; დიდი წარმოდგენა იქნება გამართული დიდს თეატრში; ღამეს მათნი უდიდებულესობანი პეტრეს სასახლეში გაათევენ; 18 მაისს სახალხო დღესასწაულია; პეტრეს სასახლეში სოფლის მამასახლისებისათვის სადილი იქმნება გამართული; საფრანგეთის ელჩი ბალს გამართავს; 19 მაისს კრემლის სასახლის ალექსანდრეს დარბაზში წოდებათა წარმომადგენელთათვის სადილი იქმნება გამართული; ბალი ავსტრიის ელჩისა; 20 მაისს ლიტურგია იქმნება გარდახდილი ჩუდოვის მონასტერში; ბალი მოსკოვის გენერალ-გუბერნატორისა; 21 მაისს საეკლესიო პარადი დანიშნული; ბალი მოსკოვის თავად-აზნაურობისა; 22 მაისს მათნი უდიდებულესობანი სერგის მონასტერში წაბრძანდებიან; 23 მაისს კრემლის სასახლის ალექსანდრეს დარბაზში დიდი ბალი იქნება გამართული; 24 მაისს მუსიკალური კრება ექმნება გერმანიის ელჩს; 25 მაისს კრემლის სასახლის გიორგის დარბაზში ელჩებისა და დესპანებისათვის სადილი იქმნება გამართული; ღამეს მათნი უდიდებულესობანი პეტრეს სასახლეში გაათევენ; 26 მაისს ჯარებს დაათვალიერებენ; სადილი იქმნება გამართული სახელმწიფო და წოდებათა დაწესებულებების წარმომადგენელთათვის კრემლის სასახლის ალექსანდრეს დარბაზში; მათნი უდიდებულესობანი მოსკოვიდამ წაბრძანდებიან.

7 აპრილი.

პეტერბურგი. ბულგარიის მთავარმა ფერდინანდმა საზამთრო სასახლეში საუზმის მირთმევის შემდეგ მიიღო სლავთა საქველმოქმედო საზოგადოებისაგან პურ-მარილი და შემდეგ აქედამ ცარსკოე სელოში წვავდა, სადაც ხელმწიფე იმპერატორმა და ხელმწიფა იმპერატრიცამ ალექსანდრა თეოდორეს ასულმა მიიღეს მისი უმაღლესობა.

კობურგი. აქ ჩამოვიდა დიდი მთავრინა მარიამ პავლეს ასული.

კონსტანტინეპოლი. რუსეთისა, საფრანგეთისა და ინგლისის ელჩებმა წინააღმდეგობა განაცხადეს იმაზე, რომ მაჰმადიანს მაჰმუდ-ალის ნიშნავდნენ ზეითუნის ვიცე-გუბერნატორად.

8 აპრილი.

პეტერბურგი. 7 აპრილს საღამოს 6 საათზედ საზამთრო სასახლეში მათმა უდიდებულესობამ გამართეს სადილი ბულგარიის მთავრის პატივსაცემად. სადილზე 149 კაცი იყო მიწვეული. ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა შუაში იხსხდნენ; ხელმწიფეს მარცხნით უჯდა თავადი ფერდინანდი. სადილზედ ხელმწიფემ დალია ორი სადღეგრძელო: პირველი სულთანისა და მეორე ბულგარიის მთავრისა და მისი უდიდებულესობის ნათლულის თავადის ბორისისა. საღამოს მათი უდიდებულესობა და თავადი ფერდინანდი მარიინსკი თეატრში იყვნენ.

მონაკო. ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულმა კეთილ ინება და ინახულა ადმირალი ტერვე.

სოფია. გაზეთი „მირი“ სიხარულით ეგებება ბულგარიის მთავრის პეტერბურგში მისვლას და აღიარებულს გრძნობებს აცხადებს რუსეთისა და ბულგარიის შარიგების გამო.

ლონდონი. ბულუვაიოში 5 აპრილს, დილით მატბაღლას მოწინავე ჯარზედ იერიში მიიტანეს. იმ ჯარებს, რომელიც ქალაქის მცველად იდგნენ კვლავ მოუხდათ შეტაკება მტერთან. საქმეები მეტად გამწვავებულს მდგომარეობაშია.

როგორც იტყობინებიან, როდსი მორჩენილა.

ალექსანდრია. „წოფილი ჯვრის“ რაზმი, რომელიც აბაშეთში მიდის, დღეს გაემგზავრება ჯიბუტში. ხოლო ის რაზმი-კი, რომელიც ერიტრეიაში უნდა წასულიყო უკანვე, რუსეთში დაბრუნდა.

განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა (კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ). ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილითობით:

ბ. ს. ნავასარდიანი, 11—12 საათ.

იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოანი, 9—10 საათ. სნეულებანი: საალთი, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ს. ი. დუსეგა-რუდენგო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ი. ფ. ბრატასეგიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ს. მ. ბუგანოგი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, ორშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ს. ბ. კარაშეტიანცი. 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

სადამოობით:

ი. ფ. ბრატასეგიჩი. 5—6 საათ. ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ს. მ. ბუგანოგი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ს. ბ. გურგო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინიგანი და კანისა.

ს. ბ. გურგო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის

დარეკტორი სამკ. ნაადისი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ).

კბილის ექიმი ს. ი. ოლბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს ძიღებს:

დილით 10-დგან 2 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

ქვირა-შაბათ დღეებში

დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—101).

ქირავდება

ხუთი ოთახი ავქალის ქუჩა, № 21.

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით მოიწვევს მსურველთ მონაწილეობა მიიღონ საჯარო ვაჭრობაში, რომელიც განოვის ქუჩაზე სარეცხის წყლის მილის გასაყვანად არის დანიშნული, პოლიციის 4-ე ნაწილში. ეს მილი ხსენებულ ქუჩაზე, თავადის იოსებ თუმანიშვილის სახლიდამ იქმნება გაყვანილი, ვიდრე ბაღების ქუჩამდე. საჯარო ვაჭრობა 10 აპრილს იქმნება; პირობების შეტყობა მსურველთ შეუძლიანთ ყოველ დღე ქალაქის გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში, დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდე.

(2—6—1).

ზღვაზე ეჯარა ეშერ

ადგილზედ იქნებოდა

ანსდა ქართული წიგნი:

თბილ. ბულვარისა

თარეგანი ფ. კვეტ—ფილისა.

ახლად გამოვიდა და იყიდება

ქართული გალობა

ლიტურგია იოანე ოქროპირისა.

მღვდლისა და მღვდელ-მთავრისათვის, გამოცემა მ. შარაძისა და ამხანაგობისა, გადაღებული ფ. ქორიძის მიერ, გადმოცემული: ანტონ ნ. დუმბაძისა, დიმიტრი ჭალაგანიძისა, მოსკარ-დაკონის რაკდენ თ. ხუნდაძისა და იულიანე ი. წერეთლისაგან. რამდენიმე საგალობელი გადმოცემულია მეფქისეულ გ. ნაკაშიძისა და მღვ. ნესტორ კ. კონტრაძისაგან.

პარტიტურა № 1.

წიგნი 174 გვერდია და ღირს ერთი მანეთი.

ცალკე ხმები: დამწყებისა, მაღალი ბანისა და ბანისა თვითოეული წიგნი 70 გვერდია და ღირს ორ-ორ აბაზად. ვინც სამივეს ერთად იყიდის, ერთ მანეთად დაეთმობა. წიგნები იყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ქუთაისისა ტ ოზურგეთის წიგნის მაღაზიებში და დამომცემელთა მ. შარაძისა და ამხანაგობის სტამბაში, ნიკოლოზის ქუჩა, № 21.

მ. შარაძისა და **ამხანაგობის სტამბაში მიიღება ნოტების ბეჭდვის საქმე.** საგანგებოდ ამისათვის რუსეთიდამ ასოებია გამოწერილი და იმვარადვე იბეჭდება, როგორც ჩვეულებრივი წიგნი. ნოტების ბეჭდვა შეიძლება ცალკე წიგნად და აგრეთვე სხვა ჩვეულებრივ წიგნთან ერთად შიგ ჩართვით.

ქ. ბათუმი

„თამარის ცხე“.

მაქვს პატივი ვაცნობო კეთილშობილ საზოგადოებას, რომ მარტის 15-ათავ. კ. მუხრანსკის მამულში

„თამარის ცხეზე“

დაიწყება სახალხო სეირნობა. კვირაში სამჯერ ბაღში დაუკრავს ხომრო სამხედრო მუსიკისა. ბაღში იშოვნება ყოველგვარი ევროპიული და ადგილობრივი სასმელები და საჭმელები და სხვა და სხვა ზაკუსკეულობა. ფასი ყველაფერზე დაკლებულია. იმედი მაქვს პატივ-ცემული საზოგადოება არ დაგვტოვებს უყურადღებოდ. სიმდაბლით: ბუფეტის პატრონი **ბიბრბი სვიმონის ძე ფოლიძე.** (6—34—4)

ნიჟნი-ნოვგოროდის საბაზრო სავაჭრო განყოფილება

ამხ-სა რ. კ.ელერ და ქ-ია **მოსკოვში**

იმყოფება უმთავრესს სახლში.

ამხანაგობის ფირმა ცნობილია, როგორც ნაწარმოებთა გამაუმჯობესებელი და გამოიფენელი ყველა იმ საქონლისა, რითიც-კი ვაჭრობს.

აგრეთვე ცნობილია ისიც, რომ ნაწარმოები და საქონელი **რ. კელერისა** და ქ-ისა საუკეთესო თვისებისაა.

მაგრამ ფირმამ საქონლის გაუმჯობესება და გაიაფება შესძლო მხოლოდ იმიტომ, რომ მისი საქონელი მთელს **რუსეთში** თან-დათან უფრო მეტი გადის.

ამისათვის ამხანაგობა ურჩევს მხმარებელთ **დაიცვან თავისი სიკეთარი სარგებლობა** და როგორც მოსკოვში, ისე პროვინციაში ვაჭრებს ამ ფირმის საქონელი მოსთხოვონ; ხოლო ვაჭრებს—იყიდონ ეს საქონელი, რადგანაც მის გამო

მყიდველებთან არასოდეს არ შერცხვებიან. (3—7—1).

იხმარეთ მხოლოდ

სავნონი „ვაზელინი“—იაფი, კარგი, პრაქტიკული და მარგებელია.

ჭიგიენის „ამხანაგობისა“ ს.-პეტერბურგში.

ს.-პეტერბურგი, ალექსანდრ. მოედ., 9., მოსკოვი, კარშაა.

ისყიდება ყველგან.

(9—7—8).

Дозволено цензурою, Тифлисъ 8-го Апрѣля 1896 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.